# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 57

“21” ნოემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ზაარბრიუკენის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.035.006) 61 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიფლის ფაბისთვის“ (ს/ნ. 405229792) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ზაარბრიუკენის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.035.006) 61 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიფლის ფაბისთვის“ (ს/ნ. 405229792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 28 ოქტომბრის №25.1805.2037 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზაარბრიუკენის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული 76 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.035.006) 61 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტიფლის ფაბისთვის“ (ს/ნ. 405229792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 14 640 (თოთხმეტი ათას ექვსას ორმოცი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე